ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3759867

ნომერი: AR1565969

თარიღი : 19.12.2017

გაცემის თარიღი : 05.01.2018

გაცნობის თარიღი : 05.01.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ილია ხავთასი პ/ნ 01020010688
- თბილისი მ.მესხის ქ. N 26ა

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 19 დეკემბრის NAR1565969 განცხადება, რომლითაც ითხოვთ სამსახურის მიერ 2015 წლის 23 ოქტომბრის №2258492 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას, კერძოდ მიწის ნაკვეთის შეცვლილი ფართობის, საკადასტრო მონაცემების დაფიქსირებას და ახალი საპროექტო ობიექტის დამატებას. პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 დეკემბრის N3717997 გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა 2017 წლის 30 ნოემბრის NAR1561733 განცხადება, რომლითაც ითხოვდით ქ. თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.040.630 (ფართობი: 1400 მ^2)) სამსახურის მიერ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად 2015 წლის 23 ოქტომბერს №2258492 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას. 2017 წლის 30 ნოემბრის AR1561733 განცხადებით მოთხოვნილი იყო დამოუკიდებლად სამშენებლო განვითარებისთვის სრულყოფილ მიწის ნაკვეთზე იმ სამშენებლო პირობების გავრცელება, რომელიც სამსახურმა 2015 წლის 23 ოქტომბერს №2258492 ბრძანებით დაამტკიცა მხოლოდ N01.72.14.040.630 საკადასტრო ერთეულზე, რაც სამსახურმა ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად არ მიიჩნია, რამეთუ N01.72.14.040.145 (გაერთიანებამდე არსებული ნაკვეთის საკადასტრო კოდი) საკადასტრო კოდით დარეგისტრირებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარება ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელია დამოუკიდებლად ახალი რეგულაციების ფარგლებში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, განცხადება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომლის თაობაზედაც არსებობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი განცხადების, აგრეთვე საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, შეიძლება წარდგენილი იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფაქტობრივი ან სამართლებრივი მდგომარეობა, რომელიც საფუძვლად დაედო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, შეიცვალა დაინტერესებული პირის სასარგებლოდ, ან თუ არსებობს ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი (მტკიცებულებები), რომლებიც განაპირობებს განმცხადებლისათვის უფრო ხელსაყრელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. თუ განცხადებაში არ არის მითითებული ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოებანი, ადმინისტრაციული ორგანო განცხადების განუხილველად გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს გადაწყვეტილებას განცხადებაზე უარის თქმის შესახებ.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან თქვენი 2017 წლის 19 დეკემბრის #AR1565969 განცხადება და მასში მითითებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები იდენტურია 2017 წლის 30 ნოემბრის AR1561733 განცხადებისა და აღნიშნულთან დაკავშირებით გამოცემულია სამსახურის 2017 წლის 05 დეკემბრის N3717997 გადაწყვეტილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ–ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს უარი გითხრათ 2017 წლის 19 დეკემბრის NAR1565969 განცხადებაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.